საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალაძე კარლო რაჟდენის ძე

კალაძე კარლო რაჟდენის ძე [16(29). III. 1907, სოფ. ეწერი (ჯიქთუბანი), ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 10. XII. 1988, თბილისი], პოეტი, დრამატურგი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1982). თავდაპირველად სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, შემდეგ – თბილისში. იყო ქართ. პროლეტარული მწერლობის წარმომადგენელი და მისი მეორე თაობის მეთაურთაგანი. 1968–77 მუშაობდა გამომც. „მერანის" დირექტორად. პირველი ლექსები კაკი ეწერელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა 1920, ლექსების პირველი კრებული და პიესა „ტრაღედია, ოხ!" – 1926. 1928 ქუთაისის თეატრში (ხელმძღვ. კ. მარჯანიშვილი) დაიდგა კ-ის პიესა „როგორ", ხოლო 1929 – პიესა „ხატიჯე". მისი დრამ. ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია კომედია „სახლი მტკვრის პირას" (1930).

XX ს. 30-იან წლებში დაწერილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პოემა „უჩარდიონი" (1932), „მთების ეპოსი" (1934), ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადები" (1935). II მსოფლიო ომის თემაზეა დაწერილი პოეტის ლექსები: „საქვეყნოდ ომის ხმა დარხეულა", „უსახელო მთის ბალადა", „ჩემი გმირი", „დიდი სამამულო ომი, თბილისი", „შეხვედრები ბრძოლის ველზე". ომისშემდგომი ნაწარმოებებია: „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა" (1945–55), „მედინადი", „სიმღერები დნეპრის პირად" (ორივე 1949) და სხვ. 60–70-იანი წლებიდან აღსანიშნავია სამშობლოს, ადამიანის დანიშნულების, სიცოცხლისა და სიხარულის თემატიკაზე შექმნილი ლექსები („დღისა და ღამის წიგნი", „მამა", „სამოციანი წლები", „ლირიკა", „ჩემს ძალაში" და სხვ.). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ლექსები და პოემები, თბ., 1970; მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული, თბ., 1976.